შირაქი

SHIRAKI

№17 (10.122)

25 მაისი—1 ივნისი 2024 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ფასი: 60 თეთრი

ბატონო ნიკოლოზ ჯანიაშვილ!

გილოცავთ სკოლის დამთავრებას, რაც თითოეული თქვენგანისთვის ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისია.

ჩვენს მშობლიურ მუნიციპალიტეტში წელს სკოლა 177-მა ნიჭიერმა, გულანთებულმა და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდამ დაამთავრა. მინდა ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მომავალი, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მჯერა, წლების განმავლობაში სკოლაში შეძენილი ცოდნით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევთ.

დაგილოცავთ იმ საოცარ ხანას, რასაც სტუდენტობა ჰქვია. წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ. დაე, თქვენი ცოდნა იყოს თქვენი სინათლე, რომელიც ნებისმიერ ბარიერს გადაგალახინებთ და გამარჯვების მწვერვალზე აგიყვანთ.

ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი მეგზური როგორც საზოგადოებრივ, ასევე პირად ცხოვრებაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის მერი

ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას და ახალი, თავგადასავლებით სავსე ცხოვრების დაწყებას! ცხოვრებას თავისი სიურპრიზები ახასიათებს, მაგრამ საკუთარი თავის ძიება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკუთარი პიროვნული და ინტელექტუალური განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას: ახალი ცოდნის დაუფლებას, თანამედროვე საზოგადოებრივი ტენდენციების შეცნობასა და საღ ანალიზს; ახალი გამოცდილების მიღებას, ახალი მეგობრების შეძენას.

გისურვებთ, გაამართლოთ ქვეყნის, მშობლიური მუნიციპალიტეტისა და მშობლების იმედი.

ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დაირეკა ბოლო ზარი...

კიდევ ერთხელ დაირეკა ბოლო ზარი, წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლა 177-მა მოსწავლემ დაამთავრა, მათგან 37 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანია.

ქ. დ/წყაროს №1 სკოლა — 34
ქ. დ/წყაროს №2 სკოლა —19
ზემო მაჩხაანის სკოლა — 17
სამრეკლოს სკოლა — 15
საპატრიარქოს სკოლა — 14
ხორნაბუჯის სკოლა — 11
არხილოსკალოს სკოლა — 10
სამთაწყაროს სკოლა — 9
საბათლოს სკოლა — 8
ზემო ქედის №1 სკოლა — 8
ზემო ქედის №2 სკოლა — 8
ქვემო ქედის სკოლა — 7
გამარჯვების სკოლა — 7
ოზაანის სკოლა — 4
ფიროსმანის სკოლა — 4
არბოშიკის სკოლა — 2

გაზეთი „შირაქი“ ყოფილ მოსწავლეებსა და მომავალ აბიტურიენტებს გაესაუბრა და მათი ემოციებითა თუ სამომავლო გეგმებით დაინტერესდა.

სალი ბენაშვილი

(დედოფლისწყაროს №2 სკოლა): „ეზადების პროცესი დამღლელი, მაგრამ თან ძალიან სახალისო იყო. ბევრი პრობლემაც შეგვექმნა, მაგრამ ბოლო ჯამში ყველაფერი მოგვარდა და იდეალური ღონისძიება გამოგვივიდა. უშუალოდ ბოლო ზარის დღე ძალიან ამაღელვებელი იყო. თუ აქამდე სხვებს ვუწერდი პერანგებზე, ახლა მე ვიდექი თეთრი პერანგით და ყველა გარშემო მეხვეოდა, რომ მოელოცათ და სამახსოვრო წარწერა დაეტოვებინათ. ეს იმდენად ამაღელვებელი და ემოციური მომენტი იყო, რომ ღიმილს ვერ ვიკავებდი მთელი დღე. ღონისძიების პროგრამაც საკმაოდ სახალისო და ლამაზი გამოგვივიდა. ბევრი ვიწვალეთ, რომ ყველაფერი წესრიგში მოგვეყვანა. ვფიქრობ, ამდენ შრომად ღირდა. მეორე სკოლამ პირველად გააკეთა ბოლო ზარი კულტურის სახლში და ეს ჩვენს შემართებას უფრო აძლიერებდა. მაგრამ უნდა ვაღიარო, ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლა მაინც ბევრად უფრო საპასუხისმგებლო აღმოჩნდა. დასრულების შემდეგ მოსმენილი დადებითი ემოციები კი საოცარი იყო. ყველა გვილოცავდა, გვაქებდა, წარმატებებს გვისურვებდა. იმედი მაქვს, მართლაც მივაღწევთ წარმატებას ცხოვრებაში. დიდ მადლობას ვუხდი სკოლას ამდენწლიანი შრომისთვის და განსაკუთრებით ჩვენს დამრიგებელს, ეთერ ალადაშვილს, რომელიც გვერდით გვედგა, გვამხნევებდა, ჩვენს შეცდომებს ასწორებდა და, რაც მთავარია, ჩვენთვის ყურადღება და სიყვარული არ დაუკლია. ეთერი მასწავლებელი ჩვენთვის მშობელივით ძვირფასი, მზრუნველი და მოსიყვარულეა. აქედან გამომდინარე, ერთხელ ერთმა კლასელმა თქვა, „ეთოვიჩები“ ვართო და დარჩა კლასის სახელად. ღონისძიების სათაურადაც ეს გამოვიტანეთ. ამჟამად ერთვნული გამოცდებისთვის ვემზადები და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ვაბარებ, რადგან მისი კვლევის საგანი ადამიანი და მისი ურთიერთობაა გარემო ფაქტორებთან. ფსიქოლოგია ძალიან მიზიდავს და ბავშვობიდან მიყვარს ადამიანებზე დაკვირვება. თუმცა, მხოლოდ ამით არ დავკმაყოფილდები.

/დასასრული ბოლო გვერდზე/

ყირგიზეთი, რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი — საქართველოს 5 მთავარი საექსპორტო პარტნიორი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის იანვარ-აპრილში საქართველოს 5 მთავარი საექსპორტო პარტნიორი ყირგიზეთი, რუსეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი იყო.

საქსტატის ცნობით, საანგარიშო პერიოდში ექსპორტი 10.1%-ით შემცირდა და 1.763 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იმპორტი 0.3%-ით გაიზარდა და 4.8 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ჩამონათვალი, 2024 წლის იანვარ-აპრილის ექსპორტის მიხედვით, ასე გამოიყურება:

ყირგიზეთი - 291 585 500 აშშ დოლარი (წლიური ზრდა 102.4%);

რუსეთი - 230 420 500 აშშ დოლარი (წლიური ზრდა 1.9%);

ყაზახეთი - 208 344 200 აშშ დოლარი (წლიური ზრდა 15.4%);

აზერბაიჯანი - 191 949 700 აშშ დოლარი (წლიური შემცირება 26.7%);

სომხეთი - 173 797 400 აშშ დოლარი (წლიური შემცირება 38.1%);

თურქეთი - 124 358 800 აშშ დოლარი (წლიური შემცირება 10.2%);

ჩინეთი - 78 811 400 აშშ დოლარი (წლიური შემცირება 51.2%);

უკრაინა - 38 925 500 აშშ დოლარი (წლიური ზრდა 27.5%);

აშშ - 34 241 700 აშშ დოლარი (წლიური ზრდა 86.9%);

უზბეკეთი - 34 229 800 აშშ დოლარი (წლიური ზრდა 22.9%)

დედოფლისწყაროში წარმოებული ხის სათამაშოები გამოიფინა

ევროპის დღესთან დაკავშირებით თბილისში, ექსპო-ჯორჯიას საგამოფენო პავილიონში გამართულ ღონისძიებაზე დედოფლისწყაროში მოქმედი ხის სათამაშოების მწარმოებელი კომპანია **„ცაცია ოსტატის“** პროდუქცია იყო გამოფენილი. პავილიონებში სხვადასხვა თემატური პრეზენტაციები იყო წარმოდგენილი და ღონისძიებას ადგილობრივი და უცხოელი დამთვალიერებელი, მათ შორის ევროპის მეგობარი ქვეყნებიდან მაღალი რანგის სტუმრები ესწრებოდნენ.

„ცაცია ოსტატი“ თანამედროვე ქართული ბიზნესის მაგალითია, რომელიც გარემოსადმი მეგობრულ ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მიდგომებს იყენებს და მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებს.

„საქართველოდან წასული ვიყავი, თუმცა შემდეგ დავბრუნდი, რათა საყვარელი საქმე მეკეთებინა“, – აღნიშნავს „ცაცია ოსტატის“ მფლობელი და სულისჩამდგმელი, შოთა შანშიაშვილი.

„გამოფენაზე ძალიან ბევრი მნახველი იყო, კმაყოფილები დავბრუნდით. ქართველ საზოგადოებას და უცხოელ სტუმრებს გავეცანით და ჩვენმა სათამაშოებმა მოწონება დაიმსახურა. ამ ეტაპზე გვაქვს ჩვენი დიზაინით შექმნილი დაახლოებით 15 მოდელი. ისე უფრო ბევრი დიზაინის ვარიანტები გვაქვს, მაგრამ ამ ვერსიებს აღარ დავამზადებთ, რადგან ახალ კონცეფციაზე ვმუშაობთ. გვინდა რაღაც დეტალები შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ. ახლა ძირითადად ჩვენი კომპანიის რებრენდინგზე ვმუშაობთ და შემდეგ საქართველოს მაღაზიებში ვგეგმავთ შესვლას, გვექნება შეფუთვაც,“ – ამბობს შოთა შანშიაშვილი

გიორგი სარდალაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

აბუ-დაბი ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. ტურნირზე წარმატებით იასპარეზა 20 წლის დედოფლისწყაროელმა ძიუდოისტმა გიორგი სარდალაშვილმა (60 კგ), რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მან ფინალურ შეხვედრაში იანგ იუნგ ვეის სძლია და საქართველოს ნაკრებს მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე პირველი მედალი მოუტანა.

ფინალურ დაპირისპირებამდე ქართველმა ძიუდოისტმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს დოჰაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გიორგი სარდალაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი სარდალაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონია. ის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ საგიორგოში დაბადებული.

გიორგი სარდალაშვილი: „გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი და პირველი ქართველი, რომელმაც 20 წლის ასაკში მოახერხა ამ ტიტულის მოგება. ამაყი ვარ, რადგან დავაფასე პირველ რიგში ჩემი შრომა, შემდეგ იმ ადამიანების ვინც თავდაუზოგავად დამეხმარნენ. უდიდესი მადლობა ჩემს ოჯახსა და უფალს, რომლის დახმარებასაც სულ ვგრძნობ. ასევე ქართველ გულშემატკივარს.

არ შემიძლია, რომ არ გამოვარჩიო იმ ადამიანების სახელი და გვარები, რადგან ისინი ჩვენთან ერთად გადიან ამ თავდაუზოგავ შრომას და მადლობას გადავუხდი თითოეულ მათგანს. ასევე საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ნაკრებს და პარტნიორებს. ჩვენ ეს ყველაფერი ერთად შევძელით, მადლობა!... ისტორია დაწერილია, გაგრძელება იქნება!“ - დაწერა ჩემპიონმა სოციალურ ქსელში.

ცნობისთვის: 2026 წლის ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს. ეს შეთანხმება საქართველოს ჯუდოს ფედერაციასა და ევროპის კავშირს შორის, ზაგრებში, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას შედგა.

გაზეთმა „შირაქმა“ მკითხველს გიორგი სარდალაშვილი ჯერ კიდევ 2022 წელს გააცნო. მევროპის ძიუდოს ფედერაციამ გიორგი 2021 წლის ამომავალ ვარსკვლავად დაასახელა, რადგან მაშინ ის ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ის პირობას დებდა, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდებას უფროს ასაკშიც მიიღებდა. სამომავლო მიზნებს შორის კი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას ისახავს.

ოქროს ფასი ახალ ისტორიულ მაქსიმუმზეა

ოქროს ფასმა ახალი ისტორიული რეკორდი დაამყარა. 20 მაისს, თბილისის დროით 14:15 საათზე, ძვირფასი ლითონის ფასმა უნციაზე 2 441 აშშ დოლარი შეადგინა.

Gold Price-ის მონაცემების თანახმად, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, წინა თვესთან შედარებით, ოქროს ფასი 3.61%-ით არის გაზრდილი.

ცნობისთვის, ანალიტიკოსების განცხადებით, მსოფლიო ბაზარზე ლითონის ფასები აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ ძირითადი კურსის შემცირებას უკავშირდება.

მათივე მტკიცებით, აშშ-ის ცენტრალური ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის შერბილება საბირჟო ვაჭრობის საინვესტიციო ფონდების მიერ ოქროს შესყიდვების ახალ ტალღას იწვევს.

„ფრთხილად იარეთ, დიდი აღმართი სწორედ ამ ბილიკს მიღმა იწყება“...

ფერადი წარწერებით აჭრელებული თეთრი მაისურები და პერანგები, უამრავი კეთილი სურვილი და თვალცრემლიანი მასწავლებლები – დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის 34 კურსდამთავრებული მშობლიურ სკოლას კულტურის სახლის სააქტო დარბაზიდან გამოემშვიდობა.

ბოლო ზარი ერთდროულად სიხარულთან და ცრემლებთან არის დაკავშირებული. ემშვიდობები მშობლიურ სკოლას, კლასს, მერხს, მასწავლებელს და გული გწყდება, რადგან ამ კედლებში გატარებული დროის უკან დაბრუნება შეუძლებელია. გადადიხარ ცხოვრების ახალ ეტაპზე და ხვდები, რომ ასეთი ლაღი და თავისუფალი ბავშვობა უკან აღარასდროს დაბრუნდება, თუმცა, დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმაც გიხარია და ყველაზე უმთავრესისთვის - სტუდენტობისთვის ემზადები. ეს დღე თითოეული სკოლის და თითოეული ბავშვის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია, რადგან სკოლა არ არის მარტო კედელი და ჭერი, კომპიუტერები და ა.შ. სკოლა ეს არის ურთიერთობათა კულტურა, საერთო პასუხისმგებლობის კულტურა, უსაფრთხო გარემო და ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება. დადგა დრო, ეს მიღებული საშუალებები ისე წარმართო და სწორი მიმართულება მისცე, რომ საკუთარ თავს და ქვეყანას გამოადგე, ასახელო და მის შენებაში შენი წვლილი შეიტანო, რაც მთავარია, არსად დაკარგო წესიერების ზღვარი. დიახ, 34 საუკეთესო და წესიერი ახალგაზრდა გააცილა ჩვენმა მშობლიურმა სკოლამ 23 მაისს და კიდევ ერთხელ ჩამოჰკრა მათთვის საბოლოო ზარმა. ულამაზეს საღამოს არ ჩაუვლია ემოციების და ცრემლის გარეშე, ახალგაზრდა თაობის მიერ მოწყობილმა ღონისძიებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბავშვები მთელი გულით დაემშვიდობნენ პედაგოგებს, გაიხსენეს განვლილი 12 წელი, სცენაზე კადრების სახით გადიოდა ფოტოვიდეოკოლაჟი, ერთმანეთს სცვლიდნენ ცეკვასა თუ სიმღერებში, იყო ინსცენირებებიც. დაუვიწყარ გამოსამშვიდობებელ ღონისძიებაზე ასევე გამოსამშვიდოებებელი სიტყვები წარმოთქვეს კლასის დამრიგებლებმა -სვეტა ლომიძემ და ინგა ქუფარაშვილმა, დაწყებითების მასწავლებლებმა – ქეთინო დავითაშვილმა და ციცო კევლიშვილმა. ვნახეთ ვასილ სვიმონიშვილის, თამარ თარაშვილის, ჯულიეტა გოგილაშვილის, ირინა თეთვაძისა და ეკა სეფიაშვილის ვიდეო მილოცვები. ცრემლებით დამშვიდობების ტრადიცია არ დაარღვია სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა თავის გამოსამშვიდობებელ მილოცვაში. სკოლის დამთავრება და ბოლო ზარი მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ახალგაზრდებს და აღნიშნა, რომ ამჯერად სუბიექტური იქნება, რადგან მშობლიური სკოლა მასში სულ სხვა ემოციებს იწვევს და ამიტომ, ღონისძიებით მეტად აღფრთოვანებული დარჩა.

დასასრულს, წინანდლისკენ მიმავალ კურსდამთავრებულებთან მოვასწარით გასაუბრება, რათა გვეკითხა- რას ნიშნავს მათთვის ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა და რამდენად აცნობიერებენ ამ პასუხისმგებლობას:

ლუკა ციხკარაული – „ბოლო ზარი ერთდროულად სიხარულთან და ცრემლებთან არის დაკავშირებული. ემშვიდობები მშობლიურ სკოლას, კლასს, მერხს, მასწავლებელს და გული გწყდება. თუმცა, დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმაც გიხარია და ყველაზე უმთავრესისთვის - სტუდენტობისთვის ემზადები“.

ნატა მაზანაშვილი – „ჩემთვის ეს დღე ძალიან ამაღელვებელი და ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დავამთავრე სკოლა და გადავედი ცხოვრების ახალ ეტაპზე, რომელიც, ვფიქრობ, არ არის იოლი. ცოტა მეშინია, რადგან ვიცი, წინ მრავალი სირთულე და დაბრკოლება შემხვდება, ბევრჯერ წავიქცევი, მაგრამ ხომ იცით, „ადგომას ვერ ისწავლის ის, ვინც არასდროს წაქცეულა“. ამიტომ, ვფიქრობ, მთავარია არ შეგვაშინოს ამ სირთულეებმა, ეს შესაძლოა სასარგებლოც აღმოჩნდეს ჩვენთვის იმ კუთხით, რომ შევიძენთ გამოცდილებას და მსგავს სირთულეს მომავალში უკვე შეუდრეკლად დავუხვდებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ არასდროს დავკარგოთ საკუთარი თავის რწმენა და იმედი, ვიშრომოთ საკუთარი დასახული მიზნების მიღწევისთვის, რადგან შრომა ყოველთვის ფასდება“.

ანი ფიროსმანაშვილი – „სკოლის დამთავრება ჩემთვის ერთდროულად სასიხარულოცაა და სევდის მომგვრელიც. კარგია იმ თვალსაზრისით, რომ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავდივართ, უფრო მეტი გამოწვევების წინაშე ვდგებით და აქედან ვიწყებთ ნაბიჯ-ნაბიჯ ცხოვრების გაკვალვას, ხოლო სევდისმომგვრელია იმიტომ, რომ ვემშვიდობებით ბავშვობას და იმ ფერად, უზრუნველ წლებს, რომლებიც აღარასდროს დაბრუნდება უკან“..

ნატალი ტიკიშვილი – „ბავშვობაში ყოველთვის მინდოდა სკოლა რაც შეიძლება მალე დამემთავრებინა. გუშინ დავამთავრე და რაღაც საოცარი გრძნობა იყო, ყველა მოგონება გამახსენდა, რაც სკოლას უკავშირდებოდა, თუმცა, ვიცი, რომ ახალ ეტაპზე გადასვლა არც თუ ისე მარტივი იქნება“.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 177-ვე კურსდამთავრებულს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას და უდიდეს წარმატებებს უსურვებს თითოეულ მათგანს.

ელზა ხარაშვილი

გადამწყვეტი გამარჯვება – დედოფლისწყარო უმაღლეს ლიგაშია

ფრენბურთელები რვა რჩეულ გუნდს შორის იასპარეზებენ

დედოფლისწყაროს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი „ისთსაიდი“ უპრეცედენტო წინსვლას განაგრძობს და უმაღლეს ლიგაშია. გადათამაშებაში დედოფლისწყაროს გუნდმა სამტრედიის გუნდი ანგარიშით 3-2 დაამარცხა და უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის შესაძლებლობა მოიპოვა. რამდენიმე თვეში სპორტსმენებს რჩეულ გუნდებს შორის უმაღლეს ლიგაში ვიხილავთ. ეს წარმატება უპრეცედენტოა დედოფლისწყაროს ისტორიაში.

ხუთი სეტიდან სამი მოიგეს 19-25; 22-25 და 10:15 ქულით, ამიტომ ანგარიში 3–2 დასრულდა დედოფლისწყაროს სასარგებლოდ.

ამ საფეხურამდე ასვლა მარტივი არ ყოფილა, სპორტსმენებს არაერთი დაძაბული ეტაპის გადალახვა მოუხდათ, თუმცა, მათი მოტივაცია, შემართება და მომზადების დონე ისეთია, რომ როგორც ჩანს ყველაფერს კარგად გაართვეს თავი და უკვე მერამდენედ გაახარეს გულშემატკივარი. გასულ თვეში მათ თბილისის „თორი“ დაამარცხეს, რამაც მათი ბედი გადაწყვიტა და გუნდს უმაღლესი ლიგისკენ გზა გაუხსნა.

მაღალი რანგის თამაშებზე მხარდასაჭერად დედოფლისწყაროდან გულშემატკივრები დედაქალაქში წინა შემთხვევაშიც გაემგზავრნენ და ახლაც. მათ შორის, უკვე მეორე თამაშს დაესწრო დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, რომელიც მოადგილეებთან ერთად გულშემატკივრობდა უმაღლეს ლიგაში გადასულ ფრენბურთელებს.

დედოფლისწყაროს ფრენბურთელთა გუნდის კაპიტანი, გიორგი კოდიაშვილი, გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მათი მეტოქე უმაღლეს ლიგაში უკვე მონაწილეობდა და საკმაო გამოცდილება ჰქონდა, ამდენად მათი დამარცხება მარტივი არ ყოფილა. ზედიზედ მოპოვებული წარმატებების შემდეგ, ცხადია, დედოფლისწყაროს გუნდის წევრების მოტივაცია ახლა უფრო გაზრდილია. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ყველა წევრი თბილისში სწავლობს, ან მუშაობს, მაინც ახერხებენ ერთად თავმოყრას და სათანადო მომზადების გავლას.

გიორგი კოდიაშვილი *(გუნდის კაპიტანი):* „სამტრედიის გუნდთან თამაში ნამდვილად არ იყო მარტივი. მათი უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვთ, რაც ყველა ქულაზე იგრძნობოდა და ამან ნამდვილად გაგვირთულა საქმე. თუმცა, გუნდის მონდომებამ და იმ შრომამ, რაც ჩვენი თვითგანვითარებისთვის გავწიეთ, კვლავაც მოიტანა სასურველი შედეგი. ამ გამარჯვებით ჩვენ გადავედით უმაღლეს ლიგაში და სულ მალე მოგვიწევს თამაში საქართველოს ტოპ შვიდ გუნდთან ერთად ქვეყნის პირველობისთვის. ორი წლის წინ პირველ ლიგაში გასული პირველ-მეორე ადგილოსანი გუნდები გადათამაშების გარეშე აიყვანეს უმაღლეს ლიგაში და გუნდების რაოდენობა 6 დან 8-მდე გაიზარდა. ორი წელია რაც უმაღლესი ლიგა 8 გუნდისგან შედგება. ჩვენ თამაში წინა წელს დავიწყეთ, როდესაც „ბ“ ლიგა ჩამოყალიბდა და დაიხურა პირველი ლიგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველ ლიგას ვერ ითამაშებ, თუ „ბ“ ლიგა არ გაქვს მოგებული. ამის გამო წინა წელს არცერთ გუნდს არ მისცემია საშუალება უმაღლეს ლიგაში ასულიყო. ფრენბურთის ფედერაციას აღარ სურდა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა და ამიტომ მოგვიწია გადათამაშება. ჩვენ კი, გასულ თვეში „თორი“ დავამარცხეთ, კიდევ ერთი გადამწყვეტი მატჩი გვრჩებოდა უმაღლეს ლიგამდე და საბედნიეროდ სამტრედიასთან ეს პრინციპული შეხვედრაც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მაყურებელს, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ გამარჯვებაში. ასევე მადლობას ვუხდი დედოფლისწყაროს მერიას, რომელიც კვლავ ჩვენს გვერდში იდგა, გვამხნევებდა და გვგულშემატკივრობდა. ბოლოს კი მინდა ვთქვა, რომ ჩვენი გუნდი აგრძელებს განვითარების გზაზე სვლას და შემდეგი სეზონიდან ორჯერ უფრო მეტი მონდომებით აპირებს ასპარეზობას. წესით, შემდეგი სეზონი სექტემბრიდან იწყება. თუმცა, ზუსტი დრო მაინც ყოველთვის ცვალებადია და წინასწარ თქმა რთულია. კვლავ თბილისში იქნება მოსამზადებელი პერიოდი. რაც შეეხება დაფინანსებას, რა თქმა უნდა, აქამდე არსებული ხელშეწყობებიდან გამომდინარე, ისევ დედოფლისწყაროს მერიის იმედი გვაქვს“.

თორნიკე ოზგეთელაშვილი *(გუნდის წევრი):* „სამტრედია, რა თქმა უნდა საკმაოდ კარგი გუნდია, რადგან ისინი საქართველოს უმაღლეს ლიგაში თამაშობდნენ. ამიტომაც, ჩვენი შეხვედრა რთული გამოვიდა. თამაში ხუთი სეტი გაგრძელდა და საკმაოდ დამღლელი გამოდგა. პირველი სეტი საკმაოდ კარგად დავიწყეთ, შემდეგ თითქოს ცოტა მოვდუნდით და მეორე სეტში დავმარცხდით, თუმცა, მალევე დავიბრუნეთ უპირატესობა და საბოლოოდ თამაში ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. დარბაზს რაც შეეხება ჯერ ცნობილი არ არის სად მოვემზადებით. მერიის მხარდაჭერას და თანადგომას რა თქმა უნდა ვგრძნობთ და წესით დაბრკოლება არ უნდა გვქონდეს“.

ნიკოლოზ ჯინაშვილი *(გუნდის წევრი):* „აპრილის თვეში პირველ ლიგაში ფინალის მოგება შესაძლებლობას გვაძლევდა გვეთამაშა ე.წ. გადათამაშება უმაღლესი ლიგის ბოლო ადგილოსან გუნდთან. ამიტომ, ბოლო თამაში იყო გადამწყვეტი მატჩი ჩვენი გუნდისთვის, სადაც გაირკვეოდა გადავიდოდით თუ არა უმაღლეს ლიგაში. წინა გამარჯვების დროსაც აღინიშნა, რომ უმაღლეს ლიგამდე კიდევ ერთი გადამწყვეტი მატჩი რჩებოდა და საბედნიეროდ ეს შეხვედრაც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ნამდვილად დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, უმაღლესი ლიგის გამოცდილება იგრძნობოდა, მაგრამ საბოლოოდ, როგორც აღმოჩნდა, ჩვენ უფრო ძლიერები ვართ და უკეთ თამაშიც შეგვიძლია. ახალი სეზონიდან ყველაფერი სრულიად სხვანაირად იქნება. ბევრად უფრო დიდი იქნება ჩვენი გუნდის დაფინანსება და მეტი შესაძლებლობა გვეძლევა სავარჯიშოდ. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ სრულიად სხვა დონეს ვანახებთ ჩვენს გულშემატკივარს და მოწინააღმდეგეებს მომავალი სეზონიდან. რთულია თქვა მოკლე დროში როგორ მოვახერხეთ განვითარება. ალბათ, უფრო მწვრთნელს ეცოდინება, რომელიც გარედან აკვირდება თამაშს, მოედნიდან დანახული თამაში სულ სხვა სამყაროა. შესაძლოა გარედან სხვანაირად ჩანდეს, მაგრამ ერთი რამის თქმა შემიძლია, როდესაც ასეთი თანაბარი თამაში მიდის, მაშინ უკეთესი მხოლოდ ისაა, რომელიც მეტად სტაბილური გუნდია. ვერანაირ საქმეს ვერ დაიწყებ თუ მიზანი არ გაქვს. არც ჩვენ ვართ გამონაკლისები, თავიდანვე მიზანი მწვერვალზე ასვლა იყო. ძალიან დიდი შრომა ჩავდეთ ამ ყველაფერში, ვიწვალეთ, ვივარჯიშეთ, ვიშრომეთ და საკმაოდ რთული გზის გავლის შემდეგ მივაღწიეთ საქართველოში მწვერვალს, უმაღლეს ლიგას, სადაც 8 საუკეთო გუნდი თამაშობს მხოლოდ და მიზანი ისევ უცვლელია მწვერვალისკენ, საქართველოს ჩემპიონობისკენ!“

ილია მარტყოფლიშვილი

ეროვნული სამოსის დღე

ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, ახალგაზრდობის საკითხებში სპეციალისტის ნინო ალადაშვილისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მარიკა პოპიაშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით, ღონისძიება გაიმართა.

ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა-ლალა ჩოფიკაშვილმა, ლიკა ჯინაშვილმა ,ხატია გოგიჩაიშვილმა და ბარბარე ბაბაიანცმა შინაარსიანი და ლამაზი პრეზენტაცია წარმოადგინეს. მათ გააცოცხლეს ეროვნული, ძვირფასი სამოსის ისტორია. ისაუბრეს ხელოვნების სასახლეში გამოფენილი უნიკალური კოლექციის შესახებ, სადაც რესტავრირებულია და გამოფენილი ხუთი კოსტიუმი. მათ შორისაა სოლოკო ვირსალაძის მიერ, ვარძიის ფრესკის მიხედვით შექმნილი თამარ მეფის კაბა, რომელზეც დატანილია 3621 მარგალიტი, თეკლა დედოფლის ძვირფასი, ოქრომკერდით გაფორმებული კაბა, ლუარსაბ მეფის სამოსი, ქართველი თავადის და ბატონიშვილის კოსტიუმი.

ღონისძიებაზე გამოფენილი იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელგარჯილობის წრის წევრების მიერ , ეროვნულ სამოსში გამოწყობილი თოჯინები.(ხელმღვანელი მაყვალა ბოჭორიშვილი).

ღონისძიებას ესწრებოდა ა.(ა).ი.პ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი დოდო ხუნაშვილი მოადგილეებთან და თანამშრომლებთან ერთად. დასასრულს, ქალბატონმა დოდომ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს საინტერესო პრეზენტაციისთვის და ღონისძიების წამყვანებს საჩუქრები გადასცა.

სასკოლო რაგბის ფესტივალი დედოფლისწყაროში

19 მაისს, ქ. დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სასკოლო რაგბის ფესტივალი, რომელიც მთელ საქართველოში განათლების სამინისტროს და რაგბის ფედერაციისა და რაგბის კავშირის მხარდაჭერით მიმდინარეობს. ამჯერად მონაწილეობდნენ: ქ. დედოფლისწყაროს N1, N2 და სოფლების - გამარჯვებისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებისა და მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის გუნდები.

ფესტივალის ორგანიზატორია რაგბის მწვრთნელი დედოფლისწყაროში - **იოსებ შიოლაშვილი**. მისი თქმით, ფესტივალს ბანკი „ქართუ“ აფინანსებს და თასები და ჯილდოები ყველა გუნდს გადაეცა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, დედოფლისწყაროს სკოლებში რაგბის სწავლების პროექტი ისევ გაგრძელდება.

„ჩვენი სკოლის ბავშვებმა პირველი სკოლის გუნდი დაამარცხეს, თუმცა, სამინისტროს სპეციალური ჯილდო ყველა გუნდს გადაეცა. ასეთ ფესტივალებზე კონკრეტული გამარჯვებულები არ გამოვლინდება. ყველა გუნდმა კარგად იასპარეზა და რაგბის განვითარებაში კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა, უკვე მეორე წელია ჩვენს სკოლაში მიმდინარეობს რაგბის სწავლების პროექტი, სამინისტროდან მოვლენილია პედაგოგი იოსებ შიოლაშვილი და ის ასწავლის ბავშვებს. საკმაო წარმატებები აქვთ, კმაყოფილები არიან და პროექტი კიდევ გაგრძელდება,“ – აღნიშნა ხორნაბუჯის სკოლის სპორტის მასწავლებელმა ნათია მეხრიშვილმა.

ცვლილებები დეპრესიის დიაგნოსტიკაში, მონიტორინგსა და მკურნალობაში

მეცნიერებმა შეიმუშავეს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვიდეო თამაშები, რომელიც პლატფორმა Thymia-ში ერთიანდება. პლატფორმა მიზნად ისახავს დეპრესია და სხვა ფსიქიკური დაავადებები ისეთივე გაზომვადი გახადოს, როგორც ეს ფიზიკური დაავადებების შემთხვევაშია.

Thymia-ის აღმასრულებელი დირექტორი და თანადამფუძნებელი, დოქტორი ემილია მოლიმპაკისი იმედოვნებს, რომ პლატფორმა აღმოფხვრის იმ ხარვეზებს, რომელსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დღევანდელი სისტემა მოიცავს.

„ამჟამად არსებული სისტემა მრავალი თვალსაზრისით არასრულყოფილია, ექიმებს დრო არ აქვთ. მათი დღევანდელი სისტემა წარმოადგენს სუბიექტურ კითხვარებს, რომლებიც წარმოუდგენლად მიკერძოებულია.

Thymia არის პირველი სისტემა, რომელიც გთავაზობთ ობიექტურობას და იყენებს მრავალი ტიპის მონაცემს დეპრესიის მართლაც ზუსტი და ძლიერი მოდელის შესაქმნელად,“-აცხადებს მოლიმპაკისი.

პროგრამა პაციენტებს სთხოვს ითამაშონ მარტივი ვიდეო თამაშები ნეიროფსიქოლოგიური ელემენტებით, რომლებიც რეალურად შექმნილია დეპრესიული სიგნალების გასაზომად.

თამაშის პროგრამული უზრუნველყოფა თამაშისას აანალიზებს პაციენტის ხმას, მზერას და მიკროორეაქციებს, ასევე, ქცევით მოტორიკას - მათ შორის, რეაქციის დროს, მეხსიერებას და შეცდომის სიხშირეს. ყველა ამ მონაცემის ანალიზი ხელს უწყობს დეპრესიის მიმანიშნებელი შაბლონების იდენტიფიცირებას, რაც სწრაფი დიაგნოზის საშუალებას იძლევა.

პლატფორმა შექმნილია პაციენტების გრძელვადიან პერსპექტივაში თვალყურის სადევნებლად. მათ შეუძლიათ ითამაშონ თამაშები ფსიქოლოგთან/ფსიქიატრთან ვიზიტებს შორის, რათა დადგინდეს, მუშაობს თუ არა მათთვის დადგენილი მკურნალობის კურსი.

ექიმები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული მეთოდი ფსიქიკური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროს შეამცირებს, თუმცა, არსებობენ სკეპტიკოსებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პლატფორმა მასზე დამყარებული მოლოდინების გამართლებას ვერ შეძლებს.

თუ ეგოისტი და მკაცრი ადამიანი ხართ, ევოლუცია აუცილებლად დაგსჯით

„აღმოვაჩინეთ, რომ ევოლუცია აუცილებლად დაგსჯით, თუ ეგოისტი და ხისტი ადამიანი ხართ“, - აცხადებს კვლევების ავტორი მიკრობიოლოგიისა და გენეტიკის პროფესორი კრისტოფ ადამი. მეცნიერი მიიჩნევს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება ზოგიერთ სპეციფიკურ ოპონენტთან ეგოსიტურმა ორგანიზმებმა მიიღონ უპირატესობა. მაგრამ ეგოისტური ქცევა წარმატებული არ იქნება ევოლუციის მასშტაბებში.

კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგების შესახებ სტატია „Nanture Communictions”-ში გამოქვეყნდა. კვლევა ეფუძნება თამაშის თეორიას, რომელიც გამოიყენება ბიოლოგიაში, ეკონომიკაში, პოლიტოლოგიასა და სხვა მრავალ დისციპლინაში. ბოლო 30 წლის ექსპერიმენტები ცხადყოფს, რომ წარმატების საფუძველი ხდება კოოპერირება. ეს ეხება როგორც კომპანიებს, ფორმებს, ასევე ერთუჯრედიან ორგანიზმებსა და ადამიანებს.

მეცნიერების ჯგუფი შეეცადა, დაემტკიცებინა, რომ „ნულოვანი დეტერმინების სტრატეგია“ (ZD) - ეგოისტი მოთამაშეების გარანტირებული მოგება კოოპერირების მომხრეებზე მართებულია, თუმცა, კრისტიოფ ადამმა და ანდერ ჰინტცმა მასში ეჭვი შეიტანეს. ეს ორი მეცნიერი მიჩნევს, რომ ეგოისტური სტრატეგია გაანადგურებს მსოფლიოს და შესაბამისად კოოპერირება ალტერნატივის გარეშეა, თუნდაც ყველაზე დიდი ეგოსიტების გადარჩენისთვის. შესაბამისად, ევოლუცია აუცილებლად ითხოვს კოოპერირებას და ვერ აიტანს ეგოიზმს. ეს ეხება არა მხოლოდ საქმიანობას, არამედ გრძნობებს.

მეცნიერები განმარტავენ, რომ ZD-სტრატეგიის მატარებლები რეალურად ერთმანეთის გასანადგურებლად არიან მოწოდებულნი. შესაბამისად, ნებისმიერ ZD-გამარჯვებულს დროთა განმავლობაში მოუნევს გვერდზე გადადოს ეგოისტური სტრატეგია და მხარი დაუჭიროს კოოპერირებასა და კომპრომისებს. ასეთ შემთხვევაში, ისინი ავტომატურად ამბობენ უარს, დარჩნენ ZD-მოთამაშეებად, ანუ ეგოისტებად.

ქიმიური ნივთიერებების ნუსხა, რომლებიც ბავშვის ტვინის განვითარებაზე ახდენენ მავნე ზეგავლენას

The Lancet Neurology-ის მკვლევარებმა გამოაქვეყნეს 11 ნეიროტოქსინის სია, რომელთაც აქვთ უნარი დააზიანონ, როგორც, შეგრძნების და აღქმის, ისე ყურადღების და მეხსიერების უნარები. კვლევის ავტორების თქმით, ნეიროგანვითარების ფუნქციების დარღვევები როგორიცაა მაგალითად აუტიზმი, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD), დღეს დაბადებული ბავშვების დაახლეოებით 10-15%-ში გვხვდება. ამ დარღვევებიდან მხოლოდ 30-40%-ი მიეკუთვნება გენეტიკურს, ხოლო დანარჩენი გარემოს ბრალია. ზუსტი მიზეზების დასახელება რთულია, თუმცა მკვლევარები განსაკუთრებულად ამ 11 ნეიროტოქსინისგან თავის დაცვისკენ მოგვიწოდებენ **ესენია:**

ტყვია ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამოკვლეული ქიმიური ელემენტია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ნეიროგანვითარების ფუნქციების ისეთ დარღვევებთან, როგორიცაა მაგალითად, ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტი (IQ).

მეთილვერცხლისწყალი ახდენს მავნე ზეგავლენას ჩანასახის ნეიროგანვითარებაზე ეს ნეიროტოქსინი, ორსულობის დროს დედის მიერ თევზეულის ხშირად მოხმარების შედეგად ხვდება ბავშვის ორგანიზმში.

პოლიქლორირებული ბიფენილები ახდენენ ჩვილის კოგნიტიური ფუნქციის დაზიანებას (შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება), ეს ქიმიური ნივთიერებები მრავლად მოიპოვება საკვებში, განსაკუთრებით თევზეულში და დედის რძის გავლით ხვდებიან ბავშვის ორგანიზმში.

დარიშხანი ძირითადად სასმელი წყლიდან ხვდება სკოლის ასაკის ბავშვების ორგანიზმში და იწვევს კოგნიტიური ფუნქციის დაქვეითებას.

ტოლუოლი აქროლადი გამხსნელებიდან ყველაზე ტოქსიკურია და ყველაზე სწრაფად იწვევს პიროვნების ინტელექტუალურ დეგრადაციას

მარგანეცი დიდი რაოდენობით მოიპოვება სასმელ წყალში და იწვევს ინტელექტუალური განვითარების შემცირებას, ასევე ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომს.

ფთოროვანი ნაერთის მომატება ბავშვის ორგანიზმში IQ-ის საშუალოდ 7 პუნქტით დაქვეითებას იწვევს.

ქლორპირიფოსი და DDT (პესტიციდები) იწვევენ ტვინის სტრუქტურულ ანომალიებს და ნერვული სისტემის პრობლემებს ბავშვობის ასაკში. ბოლო ხანებში იკვეთება მათი კავშირი ალცჰაიმერის დაავადებასთანაც. ეს პესტიციდები განვითარებულ ქვეყნებში აკრძალულია, თუმცა მაინც გამოიყენება ზოგიერთ განვითარებად ქვეყნაში.

ტეტრაქლოროეთილენი ბავშვებში ჰიპერაქტიურობას და აგრესიულ ქცევას იწვევს. ეს ნივთიერება ბავშვის ორგანიზმში ყველაზე ხშირად იმ შემთხვევაში ხვდება, თუ დედა არის პროფესიით მედდა, ქიმიკოსი, დამლაგებელი, დალაქი ან კოსმეტოლოგი.

პოლიბრომირებული დიფენილოვანი ეთერები ძლიერი ნეიროტოქსინებია და იწვევს ბავშვებში ნეიროგანვითარების ფუნქციების სერიოზულ დარღვევებს. ამჟამად ისინი ყველგან აკრძალულია.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მუცლად ყოფნისა და ჩვილობის პერიოდში ადამიანის ტვინზე ამ ნივთიერებების ზემოქმედებამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს. ძალიან რთულია ზემოხსენებული ნოვთიერებებისგან სრული თავდაცვა, ვინაიდან ისინი ფართოდ არის გავრცელებული ყოველდღიურ ცხოვრებაში - საკვებში, სასმელში, ჰაერში, კოსმეტიკაში, დოკუმენტებში, რეზერვუარებსა, ჭურჭელში და ა.შ. პრობლემა გლობალური მასშტაბისაა და მისი გადაწყვეტაც გლობალურ ძალისხმევას მოითხოვს.

გვერდი მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ზეთისხილის ბაღები უნიკალური სისტემით გაშენდა

დედოფლისწყაროში ზეთის ხილის ინოვაციური ჯიპიეს ჩამრგველი სისტემის გამოყენებით დარგვის პროცესი დაიწყო. გიორგი სვანიძის ზეთისხილის ბაღები 1000 ჰექტარზე მეტ ფართობზეა გაშენებული დედოფლისწყაროში, კახეთში, საიდანაც იწარმოება „სვანიძის ზეთისხილის“ ზეთი Extra Virgin და ზეთისხილის მარინადები.

ბაღში მიმდინარეობს აქტიური საგაზაფხულო სამუშაოები და მასთან ერთად დაწყებულია ახალი ბაღების გაშენებაც, რომელიც წელს 100 ჰექტრამდე ფართობს მოიცავს - 2024 წელს, კომპანია ახალ სეზონს შეხვდა ინოვაციური ჩამრგველი აგრეგატით, რომელიც რამდენჯერმე ამცირებს ჩარგვის ვადებს. აგრეგატი მიერთებულია ციფრულ ტექნიკაზე და მუშაობს მხოლოდ GPS სიგნალით, რომელიც მინიმალური ცდომილებით ახორციელებს ნერგების დარგვას. აგრეგატს შეუძლია დღეში 8-10 ჰექტრამდე ბაღის გაშენება, რომელიც 5-6 ათას ნერგს მოიცავს ამ ფართობზე.

შეგახსენებთ, რომ გიორგი სვანიძის ინიციატივით საქართველო შეუერთდა ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს (**IOC**) 2019 წლიდან, რომელიც ზეთისხილის მწარმოებელ 48 ქვეყანას აერთიანებს, რაც მსოფლიოს ბაზრის 97%-ია. გიორგი სვანიძე თავად ამ საბჭოს ორგზის არჩეული პრეზიდენტი გახდა 2019-2021 წლებში, დღეს კი საპატიო პრეზიდენტის წოდებით აგრძელებს ქვეყნის წარდგენას საბჭოში.

აქვე შეგახსენებთ, რომ გიორგი სვანიძის სახელს უკავშირდება საქართველოში დანერგილი ზეთისხილის კულტურა, რომლის საქმიანობის უნიკალურობა მდგომარეობს ზეთისხილის კულტურის საქართველოში შემოტანასა და დანერგვაში. ზეთისხილით პრემიუმ ხარისხის ზეთისა და მარინადის პროდუქტების წარმოების გარდა, ამ უდიდესი წამოწყების საფუძველი საქართველოს აგრარული სექტორის ხელშეწყობა, რეგიონის განვითარება და ქართველი ფერმერების გაძლიერება იყო. „სვანიძის ზეთისხილის“ წარმოება მოიცავს 100%-ით ბუნებრივ, ექსტრა ვირჯინ ზეთისხილის ზეთს და მარინადებს, რომელიც საქართველოში მიღებული ზეთისხილის მოსავლიდან იწარმოება. ზეთისხილის პროდუქცია „სვანიძის“ ბრენდირებითაა ბაზარზე წარმოდგენილი, პროდუქცია ხელმისაწვდომია საქართველოს ქსელურ მარკეტებში, აგროჰაბში, კარფურში, ფრესკოსა და სმარტში.

პროექტი – „წაიკითხე და წააკითხე სხვასაც“

წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი: „წაიკითხე და წააკითხე სხვასაც“. აქტივობა მშობლიური ენა-ლიტერატურის მასწავლებლის ლალი ინაშვილის ინიციატივით განხორციელდა და ამავე სკოლის VII–VIII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. წარმოდგენილი იყო ათამდე მოსწავლის მიერ მომზადებული პრეზენტაცია, რომელიც მათთვის საყვარელი წიგნის მიმოხილვას მოიცავდა.

მოზარდები ცდილობდნენ მათი რჩეული წიგნი ისეთი ფორმით წარმოედგინათ, რომ რაც შეიძლება მეტი თანატოლი დაინტერესებულიყო და მისი წაკითხვის სურვილი გასჩენოდა.

პროექტის ავტორი გაზეთ „შირაქს“ მის მიზნებსა და გეგმებზე დეტალურად ესაუბრა.

ლალი ინაშვილი *(ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი):* „ჩემი მიზანია მოსწავლის დაინტერესება წიგნით, მხატვრული ლიტერატურით, მსჯელობის, კვლევა-ძიების, ავტორის მთავარი სათქმელის ამოცნობის უნარჩვევების განვითარება, წაკითხული და მოწონებული წიგნის პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენება, რადგან არც უწიგნურობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა - ილია ჭავჭავაძე.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ წიგნიერების დაბალი დონე თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ინტერნეტით მრავალი სასიკეთო საქმე კეთდება, მისი უმთავრესი ღირსება ინფორმაციის სწრაფი გავრცელებაა, მისი მეშვეობით, უმოკლეს დროში შეიძლება სასურველი საკითხის გარკვევა. ურთულეს კითხვებზე პასუხის მიღება, მაგრამ კომპიუტერი უწიგნურობით გაჩენილ სიცარიელეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამოავსებს.

წიგნთან გაუცხოვება ახალგაზრდებს აშკარად დაეტყოთ, მათი მეტყველების კულტურა დაბალია, ლექსიკური მარაგი კი - ღარიბი. კითხვა უდიდესი ბედნიერებაა. იგი ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს პიროვნებას, სულიერად ამაღლებს და აფაქიზებს მას. კითხვა საშუალებას იძლევა ჩავწვდეთ პერსონაჟთან სულიერ სამყაროს, თვალი ვადევნოთ მათი სულის მოძრაობას, ხასიათის ჩამოყალიბებას, წიგნის საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა ვიცხოვროთ სხვადასხვა დროში, ნებისმიერ ეპოქაში, რეალურსა და ზღაპრულ სამყაროში. წიგნთან სიახლოვე ცოტა ხნით მაინც დაგავიწყებს ჩვენი ცხოვრების რეალობას. მოგაბავს ფრთებს და შემოგატარებს მსოფლიოს.

სწორედ წიგნთან ახლოს მისვლა იყო ჩემი მიზანი, როდესაც პროექტზე: „წაიკითხე და წააკითხე სხვასაც“ მუშაობა გადავწყვიტე. იმედია აქ წარმოდგენილ ნაწარმოებებს ბევრი მკითხველი გამოუჩნდება“.

მოზარდებმა განსახილველი წიგნი თავადვე აარჩიეს და პრეზენტაციის ფორმატში თავადვე იმსჯელეს ამ ნაწარმოებების შესახებ. აღნიშნეს რა მოეწონათ და რა არა, შეცვლიდნენ თუ არა სიუჟეტში რაიმე დეტალს. განსაკუთრებული დისკუსია გამოიწვია VIII კლასელი გიორგი მეხრიშვილის მიერ წარმოდგენილმა პრეზენტაციამ, რომელიც ეხებოდა წიგნს **„მდიდარი მამა, ღარიბი მამა“**. ეს წიგნი რობერტ კიოსაკიმ დაწერა და მალე ბესტსელერად იქცა. წიგნი ბიზნეს კონსულტანტის ფუნქციას ითავსებს და მოზარდებს ასწავლის, როგორ იშოვონ ფინანსები და როგორ შეიქმნან უზრუნველი ცხოვრება. ავტორი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მკითხველს უამბობს მდიდარი და ღარიბი მამების ცხოვრებაზე, უღრმავდება მათ მიდგომებსა და განსხვავებებზე.

ლუკა ნაროზაულმა წარმოადგინა პრეზენტაცია ბიბლიაზე და თანატოლებს დაინტერესებისკენ მოუწოდა, თუმცა, ღონისძიების დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ ყველაზე მეტი მოსწავლე სწორედ ბიბლიის წაკითხვას აპირებდა და ეს ინტერესი ლუკამ ნამდვილად გააჩინა. განიხილეს თანამედროვე ქართველი მწერლის დათო ტურაშვილის წიგნი „ჯინსების თაობა“ და იმსჯელეს ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების გახმაურებულ თემაზეც. პრეზენტაციის ავტორი ელისაბედ გიგაური ამბობდა, რომ ნაწარმოებში ცვლილებებს შეიტანდა და ფინალს შეარბილებდა, ის ორსული თინას მუცელის მოშლას არ დაუშვებდა.

წარმოდგენილ პრეზენტაციებს შორის იყო კითხვა-პასუხი და დისკუსია თემის ირგვლივ. ღონისძიების დასრულების შემდეგ პედაგოგმა მსმენელებს ჰკითხა, ვის რომელი წიგნის წაკითხვის სურვილი გაუჩნდა და რამ გამოიწვია მათი დაინტერესება. მათ ასევე შეავსეს თემატური კითხვარი, სადაც საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. საბოლოო ჯამში, გაირკვა, რომ პედაგოგმა ლალი ინაშვილმა პროექტის მთავარ მიზანს მიაღწია, მოზარდები წიგს დაუბრუნა, კლასგარეშე ლიტერატურით დააინტერესა, ცნობილი ბესტსელერები წააკითხა და ისინი ორი საათის განმავლობაში საინტერესო დისკუსიაშიც ჩართო.

ილია მარტყოფლიშვილი

მირზაანში მუზეუმების დღე აღინიშნა

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი რეაბილიტაციის პროცესშია, ღია ცის ქვეშ გაიმართა სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობა. მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი შემოქმედი მოზარდები, ისე თბილისიდან ჩამოსული სტუმრები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და მუსიკალურად აფორმებდნენ: ბაია გრიგოლია - კამერული და საოპერო მომღერალი, კლასიკური აკადემიის ალოიზ მიზანდარის №1 ხელოვნების სკოლისა და დავით ანდღულაძის №14 ხელოვნების სკოლის ვოკალის პედაგოგი.

მაყვალა ლაშქარაშვილი - კომპოზიტორი, პიანისტი, დავით ანდღულაძის №14 ხელოვნების სკოლის და არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლის კონცერტმაისტერი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი და უამრავი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი.

ირმა ბერძენიშვილი - ოპერის სოლისტი. ფიროსმანს ლექსი მიუძღვნა პოეტმა და ჟურნალისტმა, ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ მთავარმა რედაქტორმა, ფილოლოგიის დოქტორმა თამარ შაიშმელაშვილმა.

ნიკალას თანამემამულე პატარა მხატვრებს დეკორატიული ფერწერის მასტერკლასი ჩაუტარეს: ქეთევან ჯავახიძემ - მხატვარი, საქ. მხატვართა კავშირის წევრი, აკვარელის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელი საქართველოში და ასევე ხელოვნების პედაგოგი. მზია ხოსიტაშვილი - საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და მხატვარი-დეკორატორი.

ზემო მაჩხაანის სკოლის ნიჭიერმა ბავშვებმა ნიკო ფიროსმანზე წარმოადგინეს სპექტაკლი სახელწოდებით „გაუმარჯოს ყველას“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს გოგონათა ანსამბლმა „ვარასვლავები“.

საღამოს ესწრებოდა იაპონიის საელჩოს ატაშე - მაიკო სიმიძუ. ღონისძიება დაფინანსა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ.

კონფერენციები დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

21 მაისს მუზეუმების კვირეული გაიხსნა ქალაქ დედოფლისწყაროში. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, კონფერენცია „დედოფლისწყაროს გამოჩენილი ადამიანები - ალექსანდრე ალადაშვილი“ გაიმართა. ღონისძიებაზე მუზეუმის თანამშრომელმა, **დალი ბაღაშვილმა**, დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო აკადემიკოს ალექსანდრე ალადაშვილის ბიოგრაფია და მისი ცხოვრების საინტერესო დეტალები.

ღონისძიება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა გახსნა, რომელმაც კოლეგებს პროფესიული დღე მიულოცა და კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ კონფერენციებზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ მუზეუმში კვლევა-ძიების სამუშაოები გრძელდება.

კონფერენციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან, მერიის კულტურის სამსახურის უფროსთან, თამარ თამაზაშვილთან და ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელთან, დოდო ხუნაშვილთან ერთად დაესწრო.

შეგახსენებთ, გამოჩენილი ქართველი ექიმი, ალექსანდრე ალადაშვილი, სოფელ არბოშიკში დაიბადა. სამედიცინო სფეროში მისი ღვაწლი ფასდაუდებელია. ის წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის II საავადმყოფოს, რომელსაც შემდგომ მისი სახელი ეწოდა და ახლაც ამ სახელით ფუნქციონირებს.

24 მაისს ჩატარდა კიდევ ერთი კონფერენცია თემაზე - გააცოცხლე ისტორია ექსპონატით. „ქვევრი – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“. მოხსენება მუზეუმის სპეციალისტმა ნინო პოპიაშვილმა წარადგინა. წმინდა ელიას ნამონასტრალის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ერთი ნივთის ისტორიაზე მორიგი საინტერესო კვლევა წარმოადგინა ლალი ბასილაშვილმა.

პოლიტიკურ პარტიათა მრავალსახეობა

თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე პარტიები სხვადასხვა საზოგადოებრივი (სოციალური) ჯგუფების და ფენების ინტერესებს გამოხატავენ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი კონკრეტული, სოციალური არსით ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მექანიზმში დამკვიდრებული როლით. ნებისმიერი პარტიის წარმატებას თუ წარუმატებლობას. ძირითადად განსაზღვრავს მისი მხარდამჭერი საზოგადოებრივი ფენების საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური პოტენციალი, საკუთარი პოლიტიკური პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. შედარებით სუსტი პოტენციალის მქონე პარტიები ხშირად უმცროსი პარტნიორის როლით კმაყოფილდებიან და ცდილობენ თავიანთი „ნაკლი“ უფრო ძლიერ პარტიებთან პოლიტიკური კავშირით გამოასწორონ. ევროპაში ასეთი პარტიები თავისუფალი დემოკრატიული პარტია (გერმანია), რესპუბლიკური პარტია (იტალია), პარტია „დემოკრატები-66“ (ნიდერლანდები) და სხვა. ასეთ პარტიებს ზოგჯერ კოალიციური მთავრობების ჩამოყალიბებაც მოუხერხებიათ („ცენტრის პარტიები“ 60-იანი წლების შვეციასა და საფრანგეთში).

ბევრ წამყვან პარტიას წმინდა პრაგმატული მიზნები აქვს, რადგან არ გაჩნია მკაფიოდ შემუშავებული იდეოლოგიური პროგრამა და მთავარ მიზნად არჩევნებში გამარჯვებას ისახავს. ასეთების რიცხვს მიეკუთვნება ე.წ. „პარტია მანქანები“ (აშშ-ს რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები, დიდი ბრიტანეთის კონსერვატული პარტია, იაპონია ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია). „პარტია მანქანები“ აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ე.წ. „მსოფლმხედველობრივი“ პარტიებისაგან, რომლებიც ცდილობენ საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობას გარკვეული იდეოლოგიური პრინციპები დაუდონ საფუძვლად (გერმანის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი).

გამოიყოფა ე.წ. „კონფესიონალური (სარწმუნოებრივი პარტიები, რომლებიც თავიანთი პოლიტიკურ მოღვაწეობაში აქტიურად იყენებენ რელიგიურ იდეოლოგიას, ასეთი პარტიები ხშირად საკმაოდ გავლენიან პოლიტუკურ ორგანიზაციებად წარმოგვიდგებიან. ჩვენთვის ცნობილი კათოლიკური პარტიებია: იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, ბელგიის ქრისტიანულ-სოციალური პარტია, ქრისტიანული მოწოდების პარტია და სხვა. კონფესიონალურია აგრეთვე გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (თანამშრომლობს როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ეკლესიასთან)).

ამ ტიპის პარტიას შეიძლება მიეკუთვნოს პარტია „კომეიტო“ იაპონიაში, რომელიც ნეობუდისტური რელიგიური-გაერთიანების-სოკაგაიკაის პოლიტიკური ორგანიზაციაა.

ამა თუ იმ პარტიის ოფიციალური სახელწოდება ყოველთვის ზუსტად არ ასახავს ამავე პარტიის ნამდვილ პოლიტიკურ სახეს. პოლიტიკური ორგანიზაციის ორიენტაცია მის მიერ განხორციელებული კონკრეტული საქმეებით უნდა განისაზღვროს და არა მისი სახელწოდებით. თავიანთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორიენტაციით პოლიტიკური პარტიები შესაძლოა დავყოთ რამდენიმე ჯგუფად.

ა) მემარჯვენე (კონსერვატიული) ტიპის პარტიები დიდი ბრიტანეთის კონსერვაატიული პარტია, ზომიერ-კოალიციური პარტია (შვეცია), პარტია „ჰეირე“ (ნორვეგია), პროგრესულ-კონსერვატიული პარტია (კანადა), თითქმის ყველა ქრისტიან-დემოკრატიული პარტია.

ბ)ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ლიბერალური პარტიები ძირითადად ზომიერ ცენტრისტულ პოზიციაზე დგანან და პოლიტიკური სახით რამდენადმე ემსგავსებიან მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს ლიბერალური პარტია (დიდი ბრიტანეთი, იტალია, კანადა) თავისუფალი დემოკრატიული პარტია (გერმანია).

გ)ნაციონალისტური (ეროვნული) პარტიები:ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ავსტრია) ვალონთა გაერთიანება (ბელგია) შოტლანდიის ნაციონალური პარტია, უელსის ნაციონალური პარტია, „ფლაიდ კამრი“, კონსტიტუციონალისტურ მემარჯვენე პარტია (ფინეთი) შვედური სახალხო პარტია (ფინეთი).

ქვეყნებში, სადაც ადრე ფაშისტური რეჟიმი იყო, დღესაც არსებობს ნეოფაშისტური ტიპის პარტიები: იტალიის სოციალური მოძრაობა-ეროვნული მემარჯვენე ძალები (იტალია) პარტია „ახალი ძალა“, ესპანეთი) სამოქალაქო ომის ვეტერანთა ეროვნული კონფედერაცია (ესპანეთი) ნაციონალ-დემოკრატიული პარტია (გერმანია).

დ)სოციალ-დემოკრატიული პარტიები, მით ოფიციალური იდეოლოგიას „დემოკრატიული სოციალიზმი“ წარმოადგენა, რომლის მიღწევაც შესაძლებლად მიაჩნიათ არა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით, არამედ სოციალური და პოლიტიკური რეფორმების თანდათანობითი გატარებით სოციალ-დემოკრატიული პარტიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გერმანიის, სკანდინავიის ქვეყნების, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ე) კომუნისტური და მუშათა პარტიები მსოფლიო კომუნისტური მოძარობა უმძიმეს კრიზისს განიცდის მთელ რიგ ქვეყნებში კომპარტია ან საერთოდ დაიშალა, ან კიდევ შეცვალა პროგრამა და სოციალ-დემოკრატიულ პოზიციებზე გადავიდა.

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ერთი მეტად საინტერესო, პოლიტიკური ფუნქციის მატარებელი საზოგადოებრივი ჯგუფი არსებობს, რომელიც ხშირად ეშლებათ პოლიტიკურ პარტიებში, ეს გახლავთ ე.წ. „გავლენის ჯგუფები“, ეს ჯგუფები თავისებური ელემენტებია პოლიტიკურ ცხოვრებაში, თავდაპირველად აშშ-ში წარმოიშვა და აქედან გავრცელდა მსოფლიოს სხვა

ქვეყნებში , ამერიკაში მათ ლობისტური ორგანიზაციები, დაინტერესებული ჯგუფები ეწოდებათ. ხოლო სხვა ქვეყნებში შეიძლება სხვა სახელწოდებით ფიგურირებდნენ (მაგ. დიდ ბრიტანეთში ეწოდებათ (პარლამენტის აგენტები) თეორიულად ეს ჯგუფი იქმნება პარლამენტისა და მთავრობის საკონსუტაციოდ და სპეციალური ნორმატიული მოღვაწეობის საკითხებში მათ მიერ საიფორმაციო ხასიათის დახმარების გაწევისთვის მთელ რიგ შემთხვევაში, ლობისტური ორგანიზაციები ძლიერ დაწოლას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოებზე. პოლიტიკურ პარტიათაგან მათი განსხვავება იმაშიც გამოიხატება, რომ ლობისტური ორგანიზაციის წევრები, არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას არ ასახელებენ.

ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას რამდენიმე ძირითადი ფუნქცია აკისრია და ეს ფუნქციები განსაზღვრავს კიდეც მის როლსა და ადგილს პოლიტიკურ სისტემაში.

პირველი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური პარტია თავისი სოციალური ხაზის შემადგენელი ამა თუ იმ სოციალური ფენის იდეოლოგიას განავითარებს და ავრცელებს საზოგადოების სხვა ფენებზე. ამისათვის ნებისმიერ პარტიას გააჩნია მეტ-ნაკლებად ძლიერი იდეოლოგიურ საშუალებათა არსენალი, აღნიშნული საბაზო ფენის მიერ გაღებული ფინანსური სახსრები და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები.

პოლიტიკური პარტიის მეორე ფუნქცია არჩევნების გზით, როგორც ცენტრში, ისე ადგილზე, სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაცია. საზოგადოების მრავალი ფენა ცდილობს პოლიტიკური პარტიების საშუალებით დაამკვიდროს ზემოთხსენებული სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზების თავისუფალი ვარიანტი.

პოლიტიკური პარტიის მესამე ფუნქცია მდგომარეობს შემდეგში: არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია აყალიბებს სახელმწიფო აპარატის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი რგოლის შემადგენლობას, მათ შემდგომ საქმიანობას და მათ შემდგომ საქმიანობაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს. პარლამენტის წევრთა უმრავლესობა, მუნიციპალურ საბჭოს წევრთა დიდი რაოდენობა სწორედ არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წევრებისაგან კომპლექტდება. პოლიტიკური პარტიები შეარჩევენ ხოლმე თავისი წევრებიდან კანდიდატებს არჩევით თანამდებობებზე და აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ატარებენ. ერთი სიტყვით, პოლიტიკური პარტიები ამზადებენ იმ კადრებს, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველი ელიტა. დიდ ბრიტასნეთში, იტალიაში, გერმანიაში, შვეციაში, ნიდერლანდებში, დანიაში და სხვა პარლამენტის საშუალებით ჩამოყალიბებული მთავრობის პერსონალური შემადგენლობა ხშირად ემთხვევა მმართველი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობას, აშშ-ი შედარებით ნაკლებად.

პოლიტიკური პარტიის მეოთხე ფუნქციაა მისი მონაწილეობა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებაში, ფორმირებაში და განხორციელებაში. მმართველი პარტიები ხომ თავიანთი ხელმძღვანელი ორგანოების, მთავრობისა და პარლამენტის უმრავლესობის საშუალებით უშუალოდ მონაწილეობენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაში და მათ რეალიზაციაში. თავის მხრივ, ოპოზიციური პარტიები სთავაზობენ საკითხების გადაწყვეტის საკუთარ, ალტერნატიულ ვარიანტს, რომელიც შეიძლება წამყვანი გახდეს პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემთხვევაში. ასე, რომ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციების საშუალებით აქტიური ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, მით უმეტეს, თუ ეს ზემოქმედება შესაბამის ნორმატიულ აქტივებში გარდაისახება და სავალდებულო იურიდიულ ძალას შეიძენს.

თანემედროვე მსოფლიო პოლიტიკურ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა სახელმწიფო ცხოვრებაში პოლიტიკურ პარტიათა დანიშნულების შესახებ. დღეისათვის სახელმწიფო სამართლებრივ თეორიაში მიღებულია ამერიკელ პოლიტოლოგთა კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკურ პარტიას შემდეგი ხუთი ფუნქცია აქვს.

1. ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და მოქალაქეებს უღვიძებს არჩევნებისა და სახელმწიფო მოღვაწეობის ინტერესს.

2. განსაზღვრავს საჭირბოროტო პოლიტიკური საკითხების რიგს და სხვადასხვა ალტერნატიულ გზებს შორის იმ კონტრასტულ არჩევანს აკეთებს, რომელიც შესაძლოა ხელისუფლებამ გაიზიაროს.

3. ამომრჩევლებს წარუდგენს თავის კანდიდატებს (თავიანთი ალტერნატიული პოზიციით) და მოუწოდებს ხმა მისცენ მათ.

4. მმართველი პარტია ცდილობს მოსახლეობის სხვადასხვა ელემენტები გააერთიანოს კოალიციური უმრავლესობის შექმინსათვის, რათა მასზე დაყრდნობით მთავრობამ შესძლოს მასზე მინიჭებული უფლებამოსილების ვადაში ფუნქციონირება.

5. მმართველი პარტია პასუხისმგებელია ქვეყნის მართვაზე, ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობას, ცდილობს წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოსახლეობისათვის მიცემული პირობის შესრულებას, რათა შეიქმნას ბაზა მომავალ არჩევნებზე გამარჯვებისათვის.

ბესიკ გიგოლაშვილი

მეტაბოლიზმი და ასაკი

ალბათ, ბევრისგან გაგიგონიათ, რომ ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო მეტად უჭირთ ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლა. მიზეზი მეტაბოლიზმის შენელების ტენდენციაა, რასაც კუნთების ზომის შემცირება, ნაკლები აქტიურობა და ორგანოთა ბუნებრივი დაბერება განაპირობებს. გარდა წონის აუხსნელი მატებისა, მეტაბოლიზმის შენელებამ შესაძლოა თავი იჩინოს ქრონიკული დაღლილობით, კანის სიმშრალით, ტკბილი პროდუქტებისადმი მიდრეკილებით, დეპრესიით... საბედნიეროდ, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება მეტაბოლიზმის ასაკობრივი შენელების წინააღმდეგ. სტატიიდან გაიგებთ, რატომ ნელდება მეტაბოლიზმი და როგორ გავუწიოთ ამას წინააღმდეგობა.

მეტაბოლიზმი ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ რეაქციათა ერთობლიობაა, რომელიც სასიცოცხლო პროცესების წარმართვას და სიცოცხლის შენარჩუნებას განაპირობებს. მეტაბოლიზმის სიჩქარეზე ოთხი ძირითადი ფაქტორი ახდენს გავლენას:

1. დასვენების მეტაბოლური სიჩქარე. დასვენების დროს იხარჯება კალორიების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც საჭიროა სიცოცხლის შენარჩუნებისა და ორგანიზმის ფუნქციობისთვის;

2. საკვების თერმული ეფექტი - საკვების მონელებისა და შეწოვის დროს იხარჯება მთელი დღის განმავლობაში დახარჯული კალორიათა 10%;

3. ვარჯიში - ყველაზე მეტი კალორია ამ დროს იხარჯება;

4. არაფიზიკური აქტივობის თერმოგენეზი - კალორიები იხარჯება სხვა, ყოფითი აქტივობების, მაგალითად, ჭურჭლის რეცხვის, სახლის დალაგების დროსაც.

მეტაბოლიზმზე მოქმედებს სხვა ფაქტორებიც: ასაკი, სიმაღლე, კუნთური მასა და ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონული პროცესები.

ახლა კი, მეტაბოლიზმის შენელების მიზეზები განვიხილოთ.

ასაკი და ფიზიკური აქტივობა

ფიზიკური აქტივობის ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეტაბოლიზმის სიჩქარეზე. დღის განმავლობაში დახარჯულ კალორიათა 10-30% სწორედ ვარჯიშსა და სხვა არასავარჯიშო აქტივობების წილად მოდის. ძალიან აქტიურ პირებთან ამ მაჩვენებელმა შესაძლოა 50%-საც მიაღწიოს. როცა ადამიანი ასაკში შედის, ფიზიკური აქტიურობის ხარისხთან ერთად დახარჯული კალორიების რაოდენობაც იკლებს. მაგალითად, 50-60 წლის ამერიკელთა მეოთხედი პროფესიული საქმიანობის მიღმა არავითარ ფიზიკურ აქტივობას არ ეწევა. 75 წელს გადაცილებულებთან ეს მაჩვენებელი მესამედამდე იზრდება.

კვლევებით დადგენილია, რომ ასაკოვანი ადამიანები დაახლოებით 29%-ით ნაკლებ კალორიას ხარჯავენ არაფიზიკური აქტივობის თერმოგენეზის ხარჯზე.

მეტაბოლიზმის სიჩქარის ასეთ დაქვეითებასთან ბრძოლა შესაძლებელია აქტიური ცხოვრების წესის შენარჩუნებით. ერთ-ერთმა კვლევამ, რომლის დროსაც ერთმანეთს შეადარეს 21-დან 35 და 50-დან 72 წლამდე ასაკის ადამიანების ცხოვრების წესი, ცხადჰყო, რომ რეგულარული ვარჯიშით შესაძლებელია მეტაბოლიზმის შენელების პრევენცია.

კუნთური მასა

დადგენილია, რომ 30 წლიდან ყოველ 10 წელიწადში კუნთების მასის საშუალოდ 3-8% იკარგება. 80 წლის ასაკში ადამიანს კუნთების მასა 30%-ით ნაკლები აქვს, ვიდრე 20 წლის ასაკში ჰქონდა. ასაკის მატებასთან ერთად კუნთური მასის კარგვას სარკოპენია ეწოდება და შესაძლოა, მოტეხილობები, სისუსტე და ნაადრევი სიკვდილიც კი განაპირობოს.

ცნობილია, რომ კუნთურ მასაზე გავლენას ახდენს ფიზიკური აქტიურობის ხარისხი, ამიტომ, ნაკლებად აქტიურ პირებთან მისი შემცირების ალბათობა მეტია. კუნთური მასის კლებას განაპირობებს სხვა მიზეზებიც: ნაკლები კალორიისა და ცილის მიღება, ჰორმონების (ესტროგენის, ტესტოსტერონისა და ზრდის ჰორმონის) გამომუშავების შემცირება.

მეტაბოლური პროცესები

დასვენებისას დახარჯული კალორიების რაოდენობას ორგანიზმის შიგნით მიმდინარე ქიმიური რეაქციები განაპირობებს. ამ რეაქციებს უმთავრესად უჯრედში არსებული ორი კომპონენტი წარმართავს - ნატრიუმისა და კალიუმის (Na/K) ტუმბოები და მიტოქონდრია. Na/K ტუმბო ნერვული იმპულსების წარმოქმნასა და კუნთებისა და გულის შეკუმშვაში მონაწილეობს, მიტოქონდრიები კი ენერგიას აწარმოებენ უჯრედებისთვის. დადგენილია, რომ ასაკთან ერთად ორივე კომპონენტი კარგავს ეფექტურობას, შესაბამისად, მეტაბოლიზმიც ნელდება.

დაგვეთანხმებით, რომ მაღალი დონის მეტაბოლიზმის შენარჩუნება გადამწყვეტია მათთვის, ვისაც გახდომა და მიღწეული წონის შენარჩუნება სურს. არსებობს ცხოვრების წესთან დაკავშირებული შეცდომები, რომლებიც მეტაბოლიზმს ანელებს. როდესაც ამ შეცდომებს რეგულარულად ვუშვებთ, წონის კლება ძნელდება და შესაძლოა, წონის მატებისაკენ მიდრეკილებამაც იჩინოს თავი. ეს შეცდომებია:

მეტისმეტად ცოტა კალორიის მიღება. მართალია, კალორიების შეზღუდვა აუცილებელია წონის დასაკლებად, მაგრამ როდესაც მათი რაოდენობა მეტისმეტად მცირდება, ორგანიზმი ამას საფრთხედ აღიქვამს და კალორიების წვის სიჩქარეს ამცირებს. გამხდარ და ჭარბწონიან ადამიანებზე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ დღეში 1100-ზე ნაკლები კალორიის მიღება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეტაბოლიზმის სიჩქარეზე. მაგალითად, სიმსუქნით დაავადებულ ქალებს, რომლებიც 4-6 თვე დღეში 420 კალორიას იღებდნენ, მოსვენების მეტაბოლური სიჩქარე საგრძნობლად შეუმცირდათ და დღიური კალორაჟის გაზრდის შემდეგაც კი მომდევნო 5 კვირა დაბალი დარჩა. სხვა საკვლევი ჯგუფი, რომელიც ჭარბწონიანი ადამიანებისგან შედგებოდა, დღეში 890 კალორიას იღებდა. 3 თვის შემდეგ ჯგუფის წევრების საერთო დანახარჯი საშუალოდ 633 კალორიით შემცირდა. ამრიგად, თუ იგეგმება წონის დაკლება კალორიების შეზღუდვის გზით, მეტისმეტად მკაცრად ან ხანგრძლივად შეზღუდვა არ არის რეკომენდებული.



ეკონომია ცილების ხარჯზე. საკმარისი ოდენობის ცილის მიღება მეტად მნიშვნელოვანია ჯანსაღი წონის მისაღწევად და შესანარჩუნებლად. ცილებს გაცილებით ძლიერი თერმული ეფექტი აქვთ, ვიდრე ნახშირწყლებსა და ცხიმებს. დადგენილია, რომ ცილები მეტაბოლიზმს 20-30%-ით ზრდის, ნახშირწყლები - 5-10%-ით, ცხიმები - 3%-ზე ნაკლებით. მეტაბოლური სიჩქარე საგრძნობლად მცირდება წონის კლებისა და შენარჩუნების დროს. დამტკიცებულია, რომ, თუ მეტ ცილას მიიღებთ, მეტაბოლური სიჩქარე მოიმატებს. გასათვალისწინებელია, რომ ცილის დღიურ ოდენობაზე ადამიანის მოთხოვნილება ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ფიზიკური აქტიურობის ხარისხი, ასაკი, კუნთური მასა, ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მჯდომარე ცხოვრების წესი. ის საგრძნობლად ამცირებს დღის განმავლობაში დახარჯული კალორიების რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ ასეთი ცხოვრების წესი ვნებს არა მარტო მეტაბოლიზმს, არამედ, საზოგადოდ, ჯანმრთელობასაც. მართალია, ვარჯიშის დროს კალორიები უფრო ადვილად იხარჯება, მაგრამ საბაზისო ფიზიკური დატვირთვაც (მაგალითად, სიარული, საოჯახო საქმიანობა, კიბეზე ასვლა) ეხმარება ადამიანს კალორიების დაწვაში. ერთ-ერთი კვლევისას გაირკვა, რომ ტელევიზორის ყურებისას 8%-ით ნაკლები კალორია იხარჯება, ვიდრე მჯდომარე ბეჭდვისას და 16%-ით ნაკლები, ვიდრე მდგომარე ბეჭდვისას. სადგომ მაგიდასთან მუშაობა ან დღეში რამდენიმე კილომეტრის ზედმეტად გავლა გაზრდის არაფიზიკური აქტივობის თერმოგენეზს და ხელს შეუშლის მეტაბოლიზმის შენელებას.

ძილის უკმარისობა. ძილი უკიდურესად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისთვის. მისი უკმარისობის შედეგად იმატებს არაერთი დაავადების, მათ შორის - დიაბეტის, დეპრესიის, გულის დაავადებების, განვითარების საფრთხე. გარდა ამისა, კვლევები მოწმობს, რომ ძილის დეფიციტი ამცირებს მეტაბოლიზმის სიჩქარეს და ზრდის წონის მატების ალბათობას. ერთ-ერთი კვლევის დროს ჯანმრთელ მოზრდილებს, რომლებსაც ღამეში 4 საათი ეძინათ, მოსვენების მეტაბოლური სიჩქარე 5 ღამის განმავლობაში საშუალოდ 2.6%-ით დაუქვეითდათ. ღამის მაგივრად დღისით ძილი უფრო მეტად ამძიმებს მდგომარეობას. ამ დროს ირღვევა სხეულის ცირკადული (დღეღამური) რიტმი. ხუთკვირიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ძილის ხანგრძლივი დარღვევა, შერწყმული ცირკადული რიტმის დარღვევასთან, მოსვენების მეტაბოლურ სიჩქარეს საშუალოდ 8%-ით ამცირებს.

ტკბილი სასმელები. მათი დიდი რაოდენობით მიღებას უკავშირდება ჯანმრთელობის არაერთი პრობლემა: ინსულინრეზისტენტობა, დიაბეტი, სიმსუქნე. უარყოფითი ეფექტების ურავლესობა ფრუქტოზით არის გამოწვეული. შაქრის 50% ფრუქტოზაა. ტკბილი სასმელების ხშირმა მიღებამ შესაძლოა მეტაბოლიზმის სიჩქარე დააქვეითოს. ერთი კვლევის დროს წონის შემანარჩუნებელ დიეტაზე მყოფი ჭარბწონიანი და მსუქანი ადამიანები თორმეტი კვირის განმავლობაში დღიური კალორაჟის 25%-ს იღებდნენ ფრუქტოზით დამტკბარი სასმელების სახით. კვლევის დასასრულს მათი მეტაბოლური სიჩქარე საგრძნობლად დაქვეითდა. სხვა კვლევებით კი დადგენილია, რომ ფრუქტოზის ჭარბი მოხმარება მუცელზე და ღვიძლში ცხიმის ჭარბ ჩალაგებას იწვევს.

ნაკლები ძალოვანი ვარჯიში. წონით ვარჯიში კარგია მეტაბოლიზმის შენელებისგან თავის დასაღწევად. ის ზრდის კუნთების მასას, რომელიც ორგანიზმში არსებულ ცხიმისგან თავისუფალ ძირითად მასას შეადგენს. რაც უფრო მეტია ცხიმისგან თავისუფალი მასა, მით უფრო მეტი კალორია იხარჯება მოსვენებისას. ენერგიის დანახარჯს მინიმალური ძალოვანი ვარჯიშიც კი ზრდის. ერთ-ერთი კვლევის დროს ადამიანები ექვსი თვის განმავლობაში კვირაში 3-ჯერ ასრულებდნენ 11-წუთიან ძალოვან ვარჯიშს. კვლევის დასასრულს მათი მოსვენების მეტაბოლური სიჩქარე 7.4%-ით გაიზარდა, რაც დღეში საშუალოდ 125 კალორიით მეტი იყო.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქცევები, რომლებიც მეტაბოლიზმის სიჩქარეს ანელებს, დროთა განმავლობაში წონის მატებას იწვევენ, ამიტომ ასეთი ქცევები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრ უბრალო მოქმედებასაც კი შეუძლია, გაზარდოს მეტაბოლიზმის სიჩქარე.

მოამზადა

ხათუნა ბენაშვილმა

„ოტელო“ ნიჭიერების საჯილდაო ქვა

თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთი საუკეთესო ოპერის „ოტელოს“ პრემიერა.

მთავარ პატრიებს მღეროდნენ (19,20,21,26,27,28 აპრილს) მოწვეული საზღვარგეთიდან (იტალია, საფრანგეთი უნგრეთი) და ადგილობრივი ოპერის სოლისტები.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილე მოწვეულმა და ადგილობრივმა სოლისტებმა, შექსპირის თითოეულმა პერსონაჟმა, ბრწყინვალედ გაართვეს თავი თავის როლებს და ღირსეულად ასწიეს საჯილდაო ქვა, როგორც მათი დიდი ნიჭიერების დასტური.

როგორც ყოველთვის მთელ სპექტაკლს, მონტე-კარლოს ოპერის თეატრის პროდუქციას, დიდ ხიბლს მატებდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი, დამდგმელი დირიჟორი ბრწყინვალე მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისაორი ალექს აბილერა, სპექტაკლის წამყვანი რეჯისორი მარინა ბურჭულაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე.

მარიკა პოპიაშვილი

ნანა ჭიჭინაძე და მარიკა პოპიაშვილი გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ნათელა ვაჩნაძეს ბიძაშვილის, საუკუნის ადამიანის, აკადემიკოსის

გულიკო ჩაფიძის

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება სამების ტაძრიდან, დაიკრძალა ვაკის სასაფლაოზე.

მონატრება

ციური გურაშვილი



29 მაისი შენი დაბადების დღეა, 75 წლის გახდებოდი. აქედან 48 წელი ერთად გავატარეთ შრომაში, ურთიერთგაგებასა და სიამტკბილობაში. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს სამსახური გვქონდა, დიდი ძალისხმევის შედეგად 3 შვილი გავზარდეთ, მივეცით განათლება, დავაოჯახეთ, საკუთარი კერა მოვუწყეთ, შვილიშვილების გაზრდით დავკავდით, ვისაც როდის და სადაც ვჭირდებოდით, იქ ვიდექით. კარგი სიძე შეგვხვდა, შალვა გორაშვილი ოჯახის ერთგული და შვილების მოყვარე ახალგაზრდაა. რძლებიც - მაგული პაპუაშვილი და თინიკო ჯავშანაშვილი, როგორც შენ ამბობდი ხოლმე, ღმერთის საჩუქარი იყვნენ ჩვენთვის. მაგრამ, როდესაც უნდა გაგვეხარა და დავმტკბარიყავით მათი სიყვარულით, თავსდატეხილმა პანდემიამ იმსხვერპლა უკურნებელი სენისგან ისედაც ჯანმრთელობაშერყეული შენი სიცოცხლე, კოვიდით გარდაცვლილს ისეთი პატივი ვერ გეცით, როგორც გეკადრებოდა, ამაზე გვწყდება გული. ცხოვრება კი მაინც თავის გზით მიდის. შენი პირველი სიხარული, შენი შვილიშვილი, ლანა გათხოვდა, კარგი ოჯახი შექმნა, შენც რომ მოგეწონებოდა ისეთი, გყავს შვილთაშვილი - მატილდა, რომლის დაბადებასაც ვერ მოესწარი... ნათელში იყავი, ჩვენო ციური, დაბადების დღეს გილოცავთ მანდ, სამუდამო სოფელში, ვლოცულობთ შენთვის, ეჭვიც არ გვეპარება, შენც ლოცულობ ჩვენი სიკეთისათვის. უფალს ებარებოდე, არასოდეს დავივიწყებთ შენს ერთგულებას და ამაგს. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მეუღლე ნოდარი, შვილები:
მიშიკო, მამუკა და ანა გურაშვილები ოჯახებით.

დაირეკა ბოლო ზარი...

/პირველი გვერდიდან/

მსურს, რამდენიმე სხვა „ახლადდაბადებულ“ პროფესიას დავეუფლო. ვფიქრობ, დღესდღეობით პროფესიონალი ფსიქოლოგები არც ისე ბევრნი არიან, მათზე მოთხოვნა კი საკმაოდ მაღალია. ნელ-ნელა ის სტერეოტიპი, რომ ფსიქოლოგი „გიჟების ექიმია“, იმსხვრევა და ეს პროფესია მეტად საჭირო ხდება. თუნდაც იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ დღევანდელი საზოგადოების მენტალური ჯანმრთელობა წინა საუკუნისას ბევრად ჩამოუვარდება, კარგი ფსიქოლოგის არსებობა მნიშვნელოვანია. სამომავლოდ შეიძლება ამ კუთხით ლექტორობაზეც ვიფიქრო. გულწრფელად რომ ვთქვა, სკოლის დამთავრების შემდეგ, ახლა უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს. მართალია, მომენატრება კლასი, რომელმაც უარმავი კარგი მოგონება დამიტოვა, მაგრამ ახლა უფრო მეტად ვგრძნობ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე, ცხოვრებაზე და ეს შიშზე მეტად სიამოვნებას მანიჭებს. თავს უფრო დამოუკიდებელ ადამიანად ვგრძნობ. განსაკუთრებით ეთერი მასწავლებელი მომენატრება, რადგან წამითაც არასდროს მიგრძვნია მისგან რაიმე უარყოფითი. სწორედ მან მასწავლა, რომ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა უნდა ავიღო. თავს იღბლიანად ვგრძნობ, რომ მისნაირი საოცარი მასწავლებელი მყავდა“.

შუქია გიგაური *(სამრეკლოს სკოლა):*

„მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ზარისთვის საკმაოდ გვიან დავიწყეთ მზადება, ვფიქრობ, ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. ყველას აქტიურმა მონაწილეობამ და იდეების გაზიარებამ სასურველ შედეგამდე მიგვიყვანა. მთლიანი პროცესის განმავლობაში ყველა მხიარულად და შემართებით იყო, ხოლო უშუალოდ ღონისძიებაზე ყველას მოაწვა ემოციები და ცრემლიანი დასასრული გვქონდა. ბოლო ზარი ჩვენთვის ნიშნავს შესაძლებლობას, რომ უფრო მეტად დავუახლოვდეთ ერთმანეთს, განვიმტკიცოთ მეგობრობა, გამოვავლინოთ ნიჭი და სკოლაში განვლილი 12 წელი ერთიანი ნაშრომით დავაგვირგვინოთ. გვინდოდა საკმაოდ მრავალფეროვანი ნომრები წარგვედგინა, ამიტომ გვქონდა როგორც ჩვენს მიერ დადგმული თანამედროვე ცეკვები, ქართული ტრადიციული ცეკვები, სიმღერები, სიტუაციები, სკეტჩები, ჩვენი ბავშვობის და სასაცილო მომენტების ვიდეოები. ასევე გვინდოდა მასწავლებლებიც ყოფილიყვნენ რაღაც მხრივ ჩართული, ამიტომ მაყურებელს შევთავაზეთ მხიარული ვიდეო, რომელშიც ისინი აფიქსირებენ თავიანთ აზრს მოსწავლეებზე. პირადად მე, ვგეგმავ, რომ ჩავაბარო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რადგან ინგლისურ ენას კარგად ვფლობ და ვფიქრობ, რომ ეს პროფესია ქვეყნის ფარგლებს გარეთაც გამომადგება. სკოლა ნამდვილად აძლევს მოსწავლეს წარმატებისთვის საჭირო პირობებს, თუმცა, ჩემი აზრით, ჩვენს ქვეყანაში უამრავი ცვლილების ჩატარებაა საჭირო განათლების სფეროში, რათა მომავალ თაობებს ჰქონდეთ მეტი ხელშეწყობა და შეძლონ ასახელონ ჩვენი ქვეყანა და უკეთესად განვითარდნენ“.

აჩიკო ქავთარაძე *(არხილოსკალოს სკოლა):*

„ღონისძიებისთვის მზადება ნაადრევად დავიწყეთ, ვაგროვებდით ძველ ვიდეოებსა და ფოტოებს, ვიხსენებდით ბავშვობის წლებს, ვიღებდით სახალისო შინაარსის ვიდეოებს, თითქმის ყველანი ჩართულები ვიყავით ღონისძიების სამზადისში. საბოლოოდ, ვფიქრობ, კარგი გამოვიდა და ყველანი კმაყოფილი ვართ გამოსაშვები ღონისძიებით. მეღვინეობა-მევენახეობა მინდა შევისწავლო. ბავშვობიდან მაქვს ამ საქმესთან შეხება და ძალიან ნაცნობი სფეროა, ამიტომაც გატავწყვიტე ამერჩია ეს პროფესია. წლებია ჩემი ოჯახი ამ საქმიანობაშია და შეძლებისდაგვარად მეც, რაც შემეძლო, ყოველთვის ვაკეთებდი და ვეხმარებოდი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩემთვის ყველაზე საინტერესო და პერსპექტიული საქმე ესაა“.

მარიამ ჯანაშვილი *(ზემო მაჩხაანის სკოლა):*



„ბოლო ზარი ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენს ცხოვრებაში, ამიტომაც გამოსაშვები ღონისძიებისთვის ბევრს და მთელი ძალისხმევით ვემზადებოდით. სკოლაში შესვლის დღიდან უფროს ბავშვებს რომ ვაკვირდებოდით, სულ ვნატრობდით ჩვენთვის როდის დაირეკებოდა ბოლო ზარი და როდის დადგებოდა ის ბედნიერი დღე. ბოლო ზარის წინა დღეები ემოციურადაც ძალიან დატვირთული და რთული იყო. ფიზიკურადაც გაგვიჭირდა, რადგან, რთულია როცა იაზრებ, რომ ერთი ეტაპის დასასრულთან დგახარ და ამ მომენტს 12 წელი ელოდი. უჩვეულო განცდა იყო, რადგან თითქოს ამდენი ხანი ბოლო ზარს სიხარულით ელოდი, ახლა კი აღმოჩნდა, რომ სულაც არ გდომებია სკოლიდან წასვლა, უამრავი მოგონების სკოლის კედლებში დატოვება და კლასელებთან განშორება. ყველასთვის რთული იყო ამის გააზრება. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებამ და ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა, ჩვენთვის მაინც სევდიანი და ბედნიერი დღე იყო. მაქსიმალურად ვეცადეთ ღონისძიებისთვის ისეთი ნომრები შეგვერჩია, რომ ყველასთვის მაქსიმალურად დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ყველანაირად დატვირთული საღამო გამოვიდა, იყო მხიარული ნომრებიც, სასაცილოც და სერიოზულიც, ვფიქრობ საბოლოო ჯამში ეფექტური და საინტერესო გამოვიდა. მოვამზადეთ სკეტჩები, სიმღერები, ცეკვები, გადავიღეთ და ჩავწერეთ მუსიკალური კლიპი. ვეცადეთ კლასის ყველა მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობები გამოევლინა. ჯერ ჩავწერეთ ქულიოს განგსტა ფერედაისის ჩვენებური ვერსია და შემდეგ ხმის ჩამწერმა სტუდიამ საჩუქარი გაგვიკეთა და მეორე სიმღერაც ჩავწერეთ — „ქვეყანა აირია“–ს მაჩხაანური ვერსია. კონკრეტული სიმღერა იმიტომ ავირჩიეთ რომ კლასელებს გვიყვარს და თან ვფიქრობთ, სიტყვებიც კარგად გაირითმა. ამიტომ მადლობა გვინდა ვუთხრათ ლაგოდეხში მდებარე ბმ რეკორდინგ სტუდიოს. იმდენად ემოციური და შთაბეჭდილებებით დატვირთული ბოლო ზარი გამოგვივიდა, რომ ისევ ვერ გამოვდივარ ამ ემოციებიდან. ვაპირებ საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩავაბარო. ეს სფერო ძალიან მომწონს და დიდი ხანია ვფიქრობ ამაზე. ზოგადად, ამ პროფესიას ბევრი პლიუსი აქვს, მაგრამ გადაწყვეტილება უფრო იმიტომ შევაჩერე, რომ ბავშვობიდან მომწონდა და მინდა სამომავლოდ ამ კუთხით ვიმუშაო. ჩვენს სკოლაში ყველაფერია საიმისოდ, რომ მოსწავლეებმა სრულყოფილი განათლების მიღება შეძლონ. ახლადაშენებული სკოლა და ძალიან კარგი პედაგოგები გვყავს, საუკეთესო გარემოა. ბედნიერი ვარ, რომ ეს სკოლა დავამთავრე“.

ლიკა ხარაბაძე *(სოფელ ფიროსმანის სკოლა):*

„ძალიან დიდი ემოციებით შევხვდი ამ დღეს, რთული იყო სკოლასთან გამომშვიდობება. სამწუხაროდ, ბოლო ზარის ღონისძიება არ გვქონდა, სკოლაში ყველამ ერთად აღვნიშნეთ, მაისურებზე დავაწერეთ მისალოცი ტექსტები და კეთილი სურვილები. შემდეგ გადავწყვიტეთ დედოფლისწყაროში რესტორანში აღგვენიშნა ეს ლამაზი დღე. მოულოდნელად, ცეკვის დროს უცებ დავინახე ჩემი შეყვარებული დარბაზში შემოვიდა ვარდებით ხელში. გაოცებული დავრჩი, არ ველოდი ნამდვილად. კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ის, რომ ბეჭედი ამოიღო და საჯაროდ ხელი მთხოვა. ამის მიუხედავად მაინც ხუმრობა მეგონა თუმცა, ბეჭედი რომ გამიკეთა, მერე გავიაზრე რომ არ ხუმრობდა“.

ლუკა თეთვაძე *(საპატრიარქოს სკოლა):*

„დიდი ხანი ვემზადებოდით ამ დღისთვის, განსაკუთრებულად შევარჩიეთ ყველა საკონცერტო ნომერი. ბოლოს მაინც ყველაფერი კარგი გამოვიდა და ემოციური დღე იყო. არაჩვეულებრივი გამოსვლა გვქონდა ბიჭებსაც. განსაკუთრებული ცეკვები იყო, რომლებმაც მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. საპატრიარქოს სკოლას მეექვსე კლასიდან შევუერთდი და ძალიან სასიამოვნო იყო აქ გატარებული წლები, აქ ისეთი გარემო და ადამიანები დამხვდნენ, რომლებიც მუდმივად სიყვარულს გვაჩვენებდნენ. არაჩვეულებრივი კლასი მაქვს და ეს ყველაფერი და მათთან განვლილი დღეები მომენატრება. ვაპირებ სატრასპორტო ლოჯისტიკა შევისწავლო, იმიტომ, რომ ბავშვობიდან მინდოდა ეს. რადგან როცა მამაჩემს ვუყურებდი მინდოდა მეც მის გვერდით ვყოფილიყავი“.

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი.

ულოცავენ!

ირმა ჯანაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს, ქ-ნ ირმა ჯანაშვილს, ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას და ულევ სიხარულს.

სიყვარულით და დიდი პატივისცემით,
სამრეკლოს ბაგა-ბაღის მენეჯერი მაკა ზურაშვილი.

ხათუნა ხატიაშვილს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ქ-ნ ხათუნა ხატიაშვილს, ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას და ულევ სიხარულს.

დიდი პატივისცემით და სიყვარულით,
სამრეკლოს ბაგა-ბაღის მენეჯერი, მაკა ზურაშვილი.

ლალი ინაშვილს!

ჩვენო ძვირფასო ლალი მასწავლებელო, გილოცავთ 70 წლის საიუბილეო თარიღს!... კიდევ მრავალი წელი გვეგულებოდეთ მშობლიური ენა-ლიტერატურის და მომავალი თაობების სამსახურში. გვიყვარხართ და ვაფასებთ თქვენს ღვაწლს!

მეორე სკოლის 2001 წლის კურსდამთავრებულების სახელით, ილია მარტყოფლიშვილი.

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 27.05	სამშაბათი 28.05	ოთხშაბათი 29.05	ხუთშაბათი 30.05	პარასკევი 31.05	შაბათი 01.06	კვირა 02.05
დღე	23 °	23 °	24 °	25 °	25 °	26 °	26 °
ღამე	12 °	13 °	14 °	14 °	14 °	14 °	14 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი; ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი